გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმი გაიხსნა

„ალიონი“. 7 ივლისს, სოფელ ცხემლისხიდში საქართველოს სახალხო არტისტის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, ცნობილი ქორეოგრაფის და ლოტბარის გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. ქორეოგრაფის სახლ-მუზეუმის გახსნას საპატიო სტუმრები, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ფრიდონ სულაბერიძე, ჯემალ ჭკუასელი და ანზორ ერქომაიშვილი დაესწრნენ.

გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა, სტუმრებთან ერთად, პატივი მიაგეს გიორგი სალუქვაძის ხსოვნას და მისი საფლავი გვირგვინით შეამკეს.

გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმი საზეიმო ვითარებაში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა გურიის მხარეში გია სალუქვაძემ გახსნა.

მუზეუმის გახსნის საზეიმო ნაწილში მონაწილეობდნენ ქ. ოზურგეთის კულტურისა და მოსწავლე ახალგზრდობის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები „შვიდკაცა" (ხელმძღვანელი ტრისტან სიხარულიძე), „ვახტანგური":მამუკა რუსიძე), „დილა" (ლაშა ჩხარტიშვილი), ქორეოგრაფი ვაჟა ახვლედიანი.

გახსნის ცერემონიალს გიორგი სალუქვაძის ვაჟები საყვალა და გულღია სალუქვაძეები და მათი ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

იმავე დღეს ქ. ოზურგეთში საზეიმოდ გაიხსნა გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-6 საერთაშორისო ფესტივალი. ქ. ოზურგეთის ცენტრალურ ქუჩებში საზეიმოდ ჩაიარეს ოზურგეთის,ჩოხატაურის, ფოთის, ბათუმის, ლიტვის, სომხეთის ანსამბლებმა.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ორ დღეს მიმდინარეობდა ფესტივალი.

გიორგი სალუქვაძის სახელობის გრან-პრი ქორეოგრაფიაში ფოთის ანსამბლ „ფაზისს", ხოლო სიმღერაში

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №28 (10118), 13 ივლისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

საკრებულოს სხდომა ქალაქის ხელისუფალთათვის არც მთლად სასიამოვნო სიურპრიზით და მიღებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანით

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს 6 ივლისის სხდომაზე ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებას არც მთლად სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო კოსტავას ქუჩის ბოლოს, კიტა მეგრელიძის პირველ შესახვევსა და ქადეიშვილის ქუჩებზე მცხოვრებმა მანდილოსნებმა.

როგორც ქალბატონებმა განაცხადეს, თავიანთი ყოფითი პრობლემების შესახებ შარშან, დეკემბერში ჩააყენეს საქმის ყურში ქალაქის ხელისუფლება, მაგრამ დაპირების მეტი არაფერი გაკეთებულა:

„ქუჩაზე ტრანსპორტით კი არა, ფეხით ვერ გაივლი, ისეთია, რკინიგზის ხიდთან ახლოს, წყალდიდობის დროს მდინარემ მიწები საკარმიდამო ნაკვეთებშიც აღარ დაგვიტოვა, ქუჩის განათებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. მაინცა და მაინც ვინმე უნდა დაიღუპოს, რომ მოგვხედოთ? დეკემბერში შემოვიტანეთ განცხადება, მას შემდეგ გვპირდებიან პრობლემის მოგვარებას, მაგრამ დღემდე დაპირების მეტი არაფერი გაკეთებულა. გვაინტერესებს თუ დაგვადგება საშველი და როდის“, – თქვა ქალაქის ხელმძღვანელების გასაგონად ზვანის უბანში მცხოვრებმა ლამარა სალუქვაძემ.

ქალაქის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის მერაბ წივწივაძის იქვე გაცემული ინფორმაციით, ზვანის უბანში ამ სამუშაოების

გვ-3

გია სალუქვაძის ინიციატივით საზოგადოებრივი საბჭო შეიქმნა

ალიონი. 7 ივლისს, გურიის გუბერნატორის გია სალუქვაძის ინიციატივით, გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან არსებული სათათბირო ორგანო – საზოგადოებრივი საბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა. საბჭოში გაერთიანდნენ ცნობილი ადამიანები, რომელთაც თავიანთი პროფესიონალიზმით აღიარება აქვთ მოპოვებული.

აღნიშნული სათათბირო ორგანო სამართლებრივად საქართველოს მთავრობის №308 დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად დაფუძნდა და მას არაერთი ფუნქცია და მოვალეობა ექნება.

– თქვენ ხართ ის ხალხი, ვისაც აქვს დიდი გამოცდილება მართვაში,ბიზნესის განვითარებაში, აქვს მეცნიერული ცოდნა. ადამიანები, ვისთვისაც გურია გეოგრაფიულ მდებარეობასა და სახელწოდებაზე გაცილებით მეტია, ვინც მოწადინებულია მშობლიური კუთხისთვის, ყველა მიმართულებით, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთოს ჩვენთან ერთად. ეს იქნება საზოგადოებრივი საბჭო, სადაც თქვენს გამოცდილებას, თქვენს რეკომენდაციებს შესაბამისი ტერიტორიის გან-ვითარების, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გავითვალისწინებთ, – განაცხადა გურიის გუბერნატორმა.

გია სალუქვაძემ თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რეგიონში ჩაის კულტურის აღორძინებასთან დაკავშირებით კონცეფციის შემუშავების თემას. დიდი ადგილი დაეთმო გარემოსდაცვით საკითხებს:

– გურიაში 103 ლიცენზიაა გაცემული წიაღისეულით სარგებლობაზე, საიდანაც უმეტესობა ქვა-ღორღის მოპოვებას ეთმობა. თუმცა, მათგან ბევრი არასწორად მოიპოვებს ამ ინერტულ მასალას და მდინარეების ხეობებს პრობლემები ექმნება.

სოფელ მთისპირში ბენტონიტური თიხების მოპოვებაზე 2017 წლამდე აქვს ლიცენზია ბერძნულ კომპანიას, რომელიც წლების განმავლობაში არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომ ადგილზე გადამუშავებდა აქ მოპოვებულ ნედლეულს და ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებდა. ბერძენი ინვესტორს კი პირიქით, გემებით გააქვს აქ მოპოვებული ნედლეული, რომ თავიანთ უხარისხო თიხას შეურიონ და ასე გაყიდონ მსოფლიო ბაზარზე.

შენიშვნებია სოფელ ზოტში ოქროს მომპოვებელთა და ოზურგეთში, მანქანათმშენებელი ქარხნის შემსყიდველი უცხოელი ინვესტორების მიმართაც:

– ექადიაზე მანქანათმშენებელი ქარხანა ინდოელ ინვესტორებს აქვთ შესყიდული. თავად ადგილობრივ მანქანათმშენებლებს, რომლებიც კონკურენტუნარიან

გვ-3

ყურადღება!

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით 2015 წლის 18 ივლისს, 10 საათზე, ქ. ოზურგეთში, დაბა ჩოხატაურში მოქმედი მიწისზედა ანალოგური საეთერო-სატელევიზიო სადგურები გაითიშება.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

პროექტის „სოციალური დახმარების მოდელები ოზურგეთისა და ალიტუსის მუნიციპალიტეტებისთვის“ ფარგლებში - ლიტვაში, კერძოდ, ალიტუსის მუნიციპალიტეტში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაციის სამუშაო ვიზიტის შედეგები

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ლიტვიდან გასულ ორშაბათს, 6 ივლისს დაბრუნდა. დელეგაციის წევრები - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძე, გამგებლის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი გია მამაკაიშვილი და საკრებულოს აპარატის უფროსი ნანა თავდუმაძე ალიტუსის მუნიციპალიტეტში პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს დაესწრნენ. ასევე ოფიციალური შეხვედრები გამართეს, მუნიციპალიტეტის მერთან, ადმინისტრაციის დირექტორთან და სხვადასხვა სამსახურების უფროსებთან.

წინასწარ გაწერილი პროგრამის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაცია სოციალური სერვისების განმახორციელებელ ორგანიზაციებს, კერძოდ ხანდაზმულთა სახლებსა და შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრებს ეწვია და ადგილზე ლიტველი ექსპერტებისგან გაეცნო, რა ტიპის სოციალური სერვისებს თავაზობს ალიტუსის რაიონის მუნიციპალიტეტი მოსახლეობას.

დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ალიტუსში ადგილობრივი საწარმოებიც მოინახულეს და ფერმერული მეურნეობითაც დაინტერესდნენ.

პროექტის ფარგლებში ოფიციალური შეხვედრა გაიმართა ალიტუსის რაიონის მუნიციპალიტეტის მერთან ალგირდას ვრუბლაუსკასთან, რომელმაც სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გააქტიურების სურვილი გამოთქვა.

4 ივლისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ლიტვის სახელმწიფოს აღდგენის დღესთან დაკავშირებულ სახალხო საზეიმო ღონისძიებებში, რომელსაც, საქართველოს გარდა, 9 სხვა ქვეყნის დელეგაციაც ესწრებოდა. გაიმართა ოფიციალური მიღება და გალა კონცერტი.

სამომავლოდ, მხარეები აქტიურ თანამშრომლობასა და მჭიდრო ურთიერთობებზე შეთანხმდნენ და აუცილებლად მიიჩნიეს სხვადასხვა პროექტების დაგემვა -განხორციელება, უკვე განსხვავებული და გაფართოებული ფორმატის ფარგლებში.

ოზურგეთელებს უკეთესი დროშა და გერბი სურთ

ალიონი. 9 ივლისს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით, შექმნილმა დროებითმა სამუშაო ჯგუფმა, ქალაქის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით, განიხილეს კომისიაში შესული ნაშრომები.

როგორც სხდომის მიმდინარეობამ აჩვენა, ქალაქის სიმბოლოების – გერბისა და დროშისადმი ოზურგეთელები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ. თუ არ ვცდები, დამსწრე საზოგადოებიდან არავინ დარჩენილა, თავისი აზრი რომ არ გამოეხატა.

თამაზ ლომჯარიას (2), გურამ ბერძენიშვილის (2), თამაზ დარჩიას (3) და ნ. კილასონიას (1) მიერ წარმოდგენილი საკონკურსო ნამუშევრები მოიწონეს, თუმცა, თითქმის ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ, ჰერალდიკის საბჭოში გადასაგზავნად საუკეთესო პროექტზე ვერ შეთანხმდნენ.

„ოთხივე კონკურსანტის ნაშრომები ფრიად საყურადღებოა თავიანთი პლუს-მინუსებით. დიდი მადლობა მათ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის. ჰერალდიკის საბჭოში გასაგზავნად საუკეთესო პროექტზე რომ ვერ შევჯერდით, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. კარგი ნამუშევრებია, მაგრამ როგორც ჩანს, ოზურგეთელებს თავიანთი ქალაქისთვის უკეთესი გერბი და დროშა სურთ“, – აღნიშნა სხდომის დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ, ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძემ.



კომისიის გადაწყვეტილებით, ერთი თვით გაიზარდა საკონკურსო ნამუშევრების წარმოდგენის ვადა, რაც კონკურსანტებს საშუალებას მისცემს, გაითვალისწინონ კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები, ხოლო მათ ვისაც სურთ კონკურში მონაწილეობა, ამ ვადაში წარმოადგინონ თავიანთი ახალი ნამუშევრები.

გაზიფიცირების სამუშაოები გურიაში

ალიონი. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ გაზიფიცირების სამუშაოებს განახორციელებს გურიის რეგიონის შემდეგ სოფლებში:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი: გორაბერეჟოული, შუა ფარცხმა, იანეული, ჯვარცმა, ბუკისციხე, დაბლაციხე, ზემო ფარცხმა, ზემო ერკეთი, ახალშენი, გოგოლესუბანი, შუა ამაღლება, ამაღლება, სამება;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი: დაბა ურეკი, დაბა ნასაკირალი, ნატანები, დვაბზუ-გაღმა დვაბზუ, ბახვიზედა ბახვი, გურიანთა-ციხისფერდი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი: მაჩხვარეთი, შუხუთი, წყალწმინდა, აკეთი, მამათი, აცანა.

გაზის ტრანსპორტირების კომპანია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოებს 2015 წლის ბოლომდე დაასრულებს. ამ დროისთვის დაწყებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის და სოფლების - შეკვეთილის, წვერმაღალას, ქვემო ნატანების, ზემო ნატანებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის გაზიფიცირების სამუშაოები.

ოზურგეთის მერია პარლამენტის გენდერული საბჭოს კონკურსის ნომინანტია

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოს კონკურსის ნომინაციაში ''განსაკუთრებული აღიარება გენდერული ბიუჯეტის დანერგვისთვის'' გაიმარჯვა. ნომინაციებზე პროექტი განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურმა წარადგინა.

პარლამენტის გენდერულმა საბჭომ კონკურსი გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობითა და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში - შომბი შარფი; პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და პარლამენტის ვიცე სპიკერი - მანანა კობახიძე; შვედეთის სამეფოს ელჩი საქართველოში - მარტინა ქუიქი; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - თამარ ბერუჩაშვილი; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი - გიგლა აგულაშვილი ესწრებოდნენ.

გია სალუქვაძის ინიციატივით საზოგადოებრივი საბჭო შეიქმნა

ჩაის მრეწველობის დანადგარებს ამზადებენ, ქირით აქვთ ქარხანაში ფართი აღებული. ინდოელი ინვესტორების მიმართ უარყოფითადაა განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობა, რადგან ისინი მანქანის აკუმულატორებს ამუშავებენ. ამის შედეგად გამოყოფილი ტყვია და მჟავები უარყოფითად მოქმედებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. გუბერნატორმა გურიაში რამდენიმე დაცული ტერიტორიის შექმნის აუცილებლობაზეც ისაუბრა:

– 20-30 წლის განმავლობაში იჩეხებოდა გურიაში ტყეები. ტყის საფარი გავერანებულია ჩოხატაურში, ბახმაროს მისადგომებთან და ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან, გარემოს დაცვის მინისტრთან გიგლა აგულაშვილთან. ვფიქრობ, რომ გურიაში რამდენიმე დაცული ტერიტორია უნდა შეიქმნას, სადაც ვერასოდეს ვერავინ ფეხს ვერ შედგამს. ეს ტერიტორიები ჩვენს შთამომავლობას უნდა გადაეცეს. ახლა გავიგე ჩინეთის მოქალაქეებს ჰქონიათ რაღაც ლიცენზია და ვარკვევ დეტალებს. ისინი ხე-ტყის მოპოვებას ცდილობენ ჩოხატაურში. ამიტომ გარემოს დაცვის ინსპექციასაც და სატყეო სამმართველოსაც ვთხოვე ზუსტი ანალიზი გააკეთონ, თუ რა ხდება.

ფლორა და ფაუნა მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული. გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ ამ საკითხებზე.

შეხვედრის ერთ-ერთი თემა მიწების არასწორ მართვას შეეხებოდა.

– ცალკეულმა კომპანიებმა, პირებმა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწები იჯარით აიღეს, შემდეგ შეისყიდეს იმ პირობით, რომ მასზე ახალ კულტურებს გააშენებდნენ. სინამდვილეში არ მოუარეს და დღეს თავად ჰყიდიან. ამის გამო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ლაითურის, ნარუჯის, ნასაკირალის და სხვა მეურნეობების მცხოვრებლები, სადაც მოსახლეობამ მიწები ვერ მიიღო. ამ თემას სამხარეო ადმინისტრაცია სწავლობს და გადაჭრის გზებზე ერთად ვიფიქროთ.

გუბერნატორმა აღნიშნა, რომ დღეს გურიაში ძირითადად კარგი ხარისხის მიწებია, რადგან მათ წლების მანძილზე შხამ-ქიმიკატები არ მიჰკარებია. მაგალითად, აქ მოწეული მოცვი ეკოლოგიურად სუფთაა და ევროპის ბაზარზე გადის.

ასევე მნიშვნელოვანი იქნება ჩოხატაურში აბრეშუმის მრწეველობის აღდგენა.

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერატიული მეურნეობების შექმნა-განვითარებას. მაგალითად, სოფ. ზოტში ადგილობრივმა ფერმერებმა შექმნეს კოოპერატივი „ულეველა,“ გადავეცით ტექნიკა და ახლა ისინი ფიქრობენ, მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად, რძის მინისაწარმო ააგონ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები მიაწოდონ ბაზარს.

შეხვედრაზე იყო საუბარი ეკოტურიზმის, ფოლკლორული ტურიზმის, ბახმაროს, გომისმთის განვითარებაზე, მთის მდინარეების პოტენციალის გამოყენებაზე, გურული ვაზის აღორძინებაზე, რაზედაც თავიანთი აზრი გამოთქვეს ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა, გურიის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა ავთანდილ სურგულაძემ, ბიზნესმენმა ია სურგულაძემ, ასოციაცია „გურული ვაზის“ თავმჯდომარე ანდრო ვაშალომიძემ და სხვებმა.

საბჭოს, რომელიც თავის სამოქმედო გეგმასა და ფუნქცია-მოვალეობას ფართო საზოგადოებას მალე გააცნობს, გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე უხელმძღვანელებს.

გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმი გაიხსნა

ოზურგეთის რეგიონული ფოლკლორის ცენტრის ტრადიციული სიმღერა-გალობის სკოლის ვაჟთა ჯგუფმა - ანსამბლმა "დილა" მოიპოვა. გამარჯვებულებს გრან-პრი გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ გადასცა.

გია სალუქვაძე, გურიის გუბერნატორი:

– დღეს გიორგი სალუქვაძის დაბადების მესე წლისთავს ვზეიმობთ. სოფელ ცხემლისხიდში გაიხსნა ბატონი გიორგის სახლმუზეუმი. გიორგი სალუქვაძე ბრძანდებოდა უდიდესი ხელოვანი ადამიანი, რომელმაც საქართველოს დაუბრუნა და აღუდგინა უამრავი ცეკვა–სიმღერა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ის ქმნიდა ახალ–ახალ ანსამბლებს და ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა მუსიკალურ და ქორეოგრაფულ ხელოვნებას. მისი ღვაწლი დაფასებულია სრულად, ძალიან მიხარია, რომ მხვდა პატივი, გამეხსნა ეს მუზეუმი და ვულოცავ ყველას ამ დღეს.

ანზორ ერქომაიშვილი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

– დღეს გაიხსნა გამოჩენილი ქართველი ლოტბარის, ქორეოგრაფის, ინჟინრის, პედაგოგის, მრავალმხრივ უნიჭიერესი პიროვნების გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმი. იგი იყო საქართველოს სამუსიკო და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, მისი ინიციატივით შეიქმნა გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი ოთხწლიანი სალოტბარო სკოლა, ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიულ ანსამბლ „იადონს“.მან აღადგინა და დადგა მივიწყებული ქართული ცეკვები „შიპრობა“, „ფუნდრუკი“, „ფარცაკუკუ“, „იდუმალა“ და მრავალი სხვა. მის მიერ დადგმული ცეკვები გამოირჩეოდა საოცარი სისუფთავით, სილამაზით, არაჩვეულებრივი გემოვნებით.

მოხარული ვარ, რომ ამ მრავალმხრივ ნიჭიერი კაცის სახლ-მუზეუმი გაიხსნა, აქ ალბათ მოვა ბევრი ტურისტი, მოვლენ ქართველები, რომლებიც არ იცნობდნენ ბატონ გიორგი სალუქვაძეს და აქ გამოფენილი იშვიათი ფოტოსურათები დაამშვენებს ალბათ ჩვენს ბიოგრაფიებსაც.

მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

– გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმი ძალიან მალე გადმოეცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, შესაბამისად მისი შენახვის და ფუნქციონირების ხარჯებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ ბრწყინვალე და მრავალმხრივ ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანზე, რომელმაც სერიოზული ეპოქა შექმნა ჩვენი ოზურგეთის სინამდვილეში და არამარტო ოზურგეთის სინამდვილეში. ეს იყო ჩვენი ქვეყნის საამაყო ადამიანი, ქორეოგრაფი, კონსტრუქტორი, ინჟინერ-მშენებელი, გამომგონებელი.

საკრებულოს სხდომა ქალაქის ხელისუფალთათვის არც მთლად სასიამოვნო სიურპრიზით და მიღებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანით

ჩასატარებლად შედგენილია ხარჯთაღრიცხვა 497 ათასი ლარის ოდენობით, გაკეთდება პროექტი და თანხების მოძიების შემდეგ დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

პასუხით უკმაყოფილო დარჩნენ როგორც განმცხადებლები, ისე ოპოზიციონერი დეპუტატები.

– დეკემბერში შემოსული განცხადებაა, გაკეთდებაო, პირდებით, მაგრამ როდის, ეს აინტერესებს ამ ხალხს და უთხარით, – მიმართა ლეიბორისტმა დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ ქალაქის ხელმძღვანელობას.

– ქალბატონო ნათია, როგორც მოისმინეთ, პროცედურები დაწყებულია და ყოველივე ამას დრო სჭირდება, თქვენც კარგად იცით, რომ ასეთი საკითხი ასე უცებ ვერ გადაწყდება, – უპასუხა ოპოზიციონერ დეპუტატს საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძემ.

– მობრძანდით ქალაქის მერიაში და გაგარკვევთ, როგორ და როდის გადაწყდება ეს პრობლემა, – მიმართა მერმა ქალბატონებს.

– ბატონო ბეგი, დეკემბერში შემოსული განცხადებაა. რომ ვერ დაეხმარეთ, ცხადია, მაგრამ ხომ შეიძლება აქვე უთხრათ, როდის გადაწყდება ეს პრობლემა?

– ეს არ არის ქალაქის საკრებულოს სხდომაზე გადასაწყვეტი საკითხი, მობრძანდით ქალაქის მერიაში და ყველაფერში გაგარკვევთ, – გაუმეორა ქალბატონებს ბეგლარ სიორიძემ

– ჩვენ დროზე გვინდა შველა, თორემ წყალი რომ წაგვიღებს, მერე გინდ დაგვხმარებიხართ და გინდ არა, – დარბაზიდან გასვლისას რეპლიკა დატოვა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

თუ ამ პრობლემის გადაყვეტა უფრო ადრე შეიძლებოდა და არ გადაწყვეტილა, – თუ ბრალეულობაზე მიდგება საქმე, – პოზიციის ბრალიცაა და ოპოზიციისაც. ვერაფერი გამამართლებელი არგუმენტია, რომ ამ ფაქტის შესახებ ოპოზიციამ დღეს, ისიც მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე შეიტყო, თუ ადრე იცოდა, მაშინ ამდენ ხანს რატომ არაფერი თქვა. ჩვენი აზრით, ვადებზე „მიწოლა“ ოპოზიციის მხრიდან უფრო ქულების დაწერას ჰგავს, ვიდრე მოსახლეობაზე ზრუნვას.საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი დღის წესრიგის პირველ საკითხს – „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საქმე ის არის, რომ 2015 წლის 29 ივნისის საქართველოს მთავრობის №1381 განკარგულების თანახმად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 500 000 ლარი.

ცვლილებები შეიტანეს აგრეთვე ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №97 განკარგულებაში „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მიიღეს დადგენილება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკაროთა, ასევე ყოფილი საავადმყოფოს შენობაში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემისა და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ, თუ სარეიტინგო ქულა იყო 0-დან 57 000-მდე, ამ ცვლილების შემდეგ იგი შეადგენს 0-დან 150 000-ის ჩათვლით.

ცვლილებებია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 იანვრის №2 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საკითხს: „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

შავიზღვისპირეთში დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები მიმდინარეობს

დამსვენებლებისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, (250 კვ.კმ.) დაბა ურეკსა და შეკვეთილში, დაავადების გადამტანებთან ბრძოლის მასშტაბურ ღონისძიებებს ატარებს. შიდა პერიმეტრზე ღონისძიებებს მუნიციპალიტეტი, ხოლო გარე პერიმეტრზე სახელმწიფო ახორციელებს (სამუშაოების ღირებულება 17 000 ლარს შეადგენს).

„ქალზე ძალადობა დანაშაულია“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „გადარჩენილები მომავლისათვის“ (ხელმძღვანელი მაია თავაძე) ახორციელებს პროექტს „ქალზე ძალადობა დანაშაულია“. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ პროფესიულ დახმარებას გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმისა და კრიზისის დაძლევაში.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გენდერული პოლიტიკის აქტუალიზაციის თემაზე მრგვალი მაგიდა გაიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამისი სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებმა.

როგორც მაია თავაძემ განაცხადა, ორგანიზაცია „გადარჩენილები მომავლისთვის“ (ყოფილი „სოციალურ მუშაკთა და ძალადობის მსხვერპლ ქალთა კავშირი“) დაფუძნდა 2008 წელს. კავშირის დამფუძნებლები და წევრები არიან პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები (რომლებიც ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მუშაობდნენ წლების განმავლობაში, მათ შორის, საქართველოში პირველი ოჯახური ძალადობის თავშესაფრის ხელმძღვანელი, სოციალური მუშაკი), ასევე, გადარჩენილები, რომლებიც ცხოვრობდნენ თავშესაფრებში, გაიარეს კრიზისულ ცენტრებში სარეაბილიტაციო პროგრამები (მათ შორის სპეციალური სახელმწიფო კომისიის მიერ აღიარებული პირველი ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოში, რომელმაც თავშესაფარში იცხოვრა 2 წელი). დამფუძნებლებმა, საკუთარი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე, ყველა საჭიროების გათვალისწინებით, პრიორიტეტად დაისახეს, სახელმწიფო სტრუქტურებთან და არასამთავრობო სექტორთან ერთად გადარჩენილთა აქტიური ჩართვა და თანამშრომლობა ძალადობის დაძლევის საქმეში, რათა რეალურად მოხდეს ძალადობის მსხვერპლთა სოციალიზაცია და რეინტეგრაცია. „გადარჩენილები მომავლისათვის“ აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან, თვითმმართველ ორგანოებთან-საკრებულოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ოზურგეთელთა მონაგარი ჩემპიონთა საერთაშორისო ტურნირზე

ალიონი. 30 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით ქალაქ თბილისში ჩატარდა ჩემპიონთა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის. მონაწილეობდნენ: რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლიტვის და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები.

აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდიდან 63 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა დავით ბაკურაძე (მწვრთნელები – ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები). ამავე წონაში მესამე ადგილი დაიკავა გია გორგაძემ (მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი).

ზაურ თენიეშვილის ხსოვნის ტურნირზე

ალიონი. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომში დაიღუპა ოზურგეთელი ზაურ თენიეშვილი.

მისი სახელის უკვდავსაყოფად ქუჩას, სადაც ის ცხოვრობდა ზაურ თენიეშვილის სახელი მიენიჭა.

ამჟამად ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გურიის რეგიონული სამმართველოს ინიციატივით და ქალაქის მერის ბეგი სიორიძის მხარდაჭერით გადაწყდა იმ უბანში, სადაც ზაური იზრდებოდა, გაკეთდეს მისი სახელობის სკვერი. საამისოდ მიწა ამ უბნის მცხოვრებმა ბადრი გოგოტიშვილმა დათმო. როგორც ვეტერანების სამსახურის წარმომადგენელმა ალექსანდრე ბასილაშვილმა გვითხრა, სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება, რომელშიც ახალგაზრდობა ჩაერთვება და სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები აგვისტოს ბოლომდე დაასრულონ.

ზაურის მამიდაშვილი მიხო თენიეშვილი და დავით გოგუაძე იყვნენ ინიციატორები აგვისტოს ომის გმირის სახელობის ტურნირი გამართულიყო მინიფეხბურთში. მხარდაჭერა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან მიიღეს და ოზურგეთის სპორტის სასახლეში 6 გუნდის მონაწილეობით საინტერესო შეჯიბრი გაიმართა. მონაწილეობდნენ ქ. ოზურგეთის ფარნავაზ მეფის, ჯავახიშვილის, ზაურ თენიეშვილის, იაკობ შემოქმედელის, ჩოხატაურის ქუჩის და სოფ. ლიხაურის ფეხბურთელთა გუნდები.

უაღრესად დაძაბული გამოდგა ფინალური ორთაბრძოლა ლიხაურისა და ქ. ოზურგეთის ფარნავაზ მეფის ქუჩის გუნდებს შორის. ოზურგეთლები იგებდნენ 2:1, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთებში ლიხაურლებმა 2 გოლი გაიტანეს და ანგარიშით 3:2 სძლიეს მეტოქეს. მათ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ დაწესებული თასი და დიპლომი გადაეცათ. ჯილდო ფარნავაზ მეფისა და მე-3 ადგილზე გასულ ჩოხატაურის ქუჩის გუნდებსაც გადაეცათ.

ტურნირში მონაწილე ფეხბურთელებმა თანხაც შეაგროვეს და ზაურ თენიეშვილის სულის საოხად ჯუმათის მონასტერისა და ლიხაურის ეკლესიისათვის გადაცემას გეგმავენ.

ჯუმბერ დუნდუას ხსოვნის საღამო

ალიონი. 3 ივლისს, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლ "გურიას" და ი.სუხიშვილის - ნ.რამიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის ანსამბლ "შეგობრობის" კონცერტი გაიმართა.

კონცერტი ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლ "გურიას“ ყოფილი ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და ცნობილი ქორეოგრაფის ჯუმბერ დუნდუას ხსოვნასა და მის 74 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საიუბილეო კონცერტს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გურიის მხარეში, გია სალუქვაძე მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ფარცა, ხორუმი, ნარნარი, მთიულური, სამაია - ეს არასრული ჩამონათვალია იმ ქორეოგრაფიული ნომრებისა, რომელიც მოცეკვავეებმა პროფესიონალიზმით შეასრულეს და მაყურებლის გულწრფელი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

ნუ გეშინიათ, მე ვძლიე წუთისოფელს!

წყურვილი სიცოცხლისა ძლიერ მომეძალა,
დრო კი რა უეცრად გადის,
მეუფეო ზეცათაო, მომეც ძალა
ძლევისა სევდის და დარდის!

ღმერთმა დიდი განსაცდელი მომივლინა, ალბათ, იმიტომაც, რომ სათნოებანი შემეძინა, ღვთივსათნო გავმხდარიყავი. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ღმერთს შევთხოვდი სიცოცხლე არა მარტო ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრთა მეოხად, არამედ თქვენთვის ჩემო მეგობრებო, სიცოცხლის მოყვარულნო, ჩემო პაციენტებო. საქართველოს ყველა ტაძარ-მონასტერი მოვილოცე, ღვთის მადლი შევიძინე, გავხდი ღვთივსათნო; გმადლობთ თქვენ ყველას, ვინც უჩემობას განიცდით; ნუ გეშინიათ, მე ვძლიე წუთისოფელს!

ზეიფირა ჩავლეშვილი

ხელოვნება დროსა და სივრცეში და... სამადლობელი ჯურღმულიდან გამოყვანისთვის

დრო უსასრულობას იტევს და უსასრულობისთვის დრო ერთ-ერთი განზომილებაა.

ხელოვნება დროსა და სივრცეშია ჩაბნეული, იმდენნაირია და იმდენად შესაგრძნობი, რამდენიც თავად ბუნებრივს მიემსგავსება და შეიგრძნობა.

შემოუსაზღვრავია დროცა და სივრცეც ბათუმის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, რომელმაც ესოდენ მოიხდინა ოზურგეთელი მხატვრის მარინე უჯმაჯურიძის ნამუშევართა გამოფენა. გამოფენა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა თვითმმართველობების გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. იდეის ავტორი და ორგანიზატორი მერიის კულტურის, განათლებისა და გენდერული სამსახურის უფროსი ქ-ნი მარინა ჯაფარიძე გახლდათ. ორგანიზების მხარდამჭერი - ასევე შპს. „იალონი ტვ“ და აჭარაში მომუშავე ოზურგეთელი ჟურნალისტი ლალი ბერძენიშვილი.

- როცა ბათუმში გადავწყვიტეთ გამოფენის მოწყობა, ჩვენთვის სრულიად უცნობ მხატვარს, ბატონ გელა წულაძეს დავუკავშირდით, რომელიც ხელოვნების ცენტრის დამფუძნებელია. როცა ნამუშევრები ნახა, უსასყოდლოდ შემოგვთავაზა დარბაზი - ამბობს მარინა ჯაფარიძე და მადლიერებას გამოხატავს ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც ხელოვნებისა და ხელოვნებისადმი მხარდაჭერის ფასი იცის.

საუბარი ბატონ გელასთან (იგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საფრანგეთში და რამდენიმე წელია ბათუმში გადმოვიდა):

— ბატონო გელა, საინტერესოა თქვენეული შეფასება.

— როცა ნამუშევრები ვნახე, მივხვდი, ნამდვილ მხატვართან მქონდა საქმე. 2 წელია ეს დარბაზი ფუნქციონირებს და მიხარია, რომ ასეთი კარგი გამოფენა გაიმართა, წინააღმდეგ შემთხვევაში უარის თქმა არ გამიჭირდებოდა.

— მხატვრის სტილისა და გამოსახვის თავისებურებებს როგორ ახსნით, ანუ ძირითადად ქალთა მთლიანი პორტრეტები, თითქოს რეალური ყოფითი ჩარჩოებიდან გამოსული, ადამიანთა ორსახოვნებას, ანუ გამოუხატავისა და გამოხატულის ერთობლიობას გამოხატავენ?

მხატვარს ზუსტად აქვს განსაზღვრული ყველა წერტილი სამყაროში. ჯერ-ჯერობით 20-ე საუკუნეს მიჰყვება ბოლომდე. პიკასოს გრაფიკა, ფიროსმანი დამალულად, შაგალის მსგავსებას ვხედავ. როგორც ჩანს მას რამდენიმე მოდელი ჰყავს, თუმცა არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არიან ისინი. მხატვარი ჰყვება სიცოცხლეს და გააჩნია გამოხატვის თავისუფლება.

— კომპოზიციურად სრულად დატვირთული ნახატები, სადაც ბევრი ფიგურა და მოქმედება იკითხება და ეს ყველაფერი საოცარ ფერებთან ერთად.

— იმდენი დეტალია ყველა ამ პორტრეტში, და ეს ყველანი ჩვენ ვართ. ეს არის ფანჯარა თავისუფლებისკენ. სწორედ ამიტომაა ის მხატვარი, ეს რომ ხელეწიფება

ნანი ჭანუყვაძე:- აქ ჟანრობრივად მრავალფეროვნება არ არის, მაგრამ რაც არის კარგია. ქ-ნი მარინას ხელოვნება არ არის გათვლილი კომერციული წარმატებისთვის. ეს მისთვის ცუდია, მაგრამ კარგია მისი შემოქმედებისთვის.

თავად მხატვარმა ასეთი ფრაზებით დაასრულა თავისი მოკლესიტყვიანი გამოსვლა: - მადლობა ყველას, რომ ჯურღმულიდან გამომიყვანეთ ცოტა ხნით.

ნინია იაშვილი

მხიარულება ბრძანებით და ბავშვთა გულისმიერი გაღიმილება

ალიონი. ყველაფერი „ჯადოსნურ ზღაპარში“ ეს მიმდინარე თეატრალური სეზონის რიგით მეხუთე პრემიერაზე ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

ლ. ტიტოვასა და სტაროჟორსკის მიხედვით რეჟისორ გურამ ბრეგაძის მიერ შექმნილი „ჯადოსნური ზღაპრის “სცენური ვერსია და ჯადოსნური ზღაპრის გმირთა ჯადოსნური ღიმილი ოზურგეთელი პატარებისთვის დღესასწაული გახდა.

მხატვარი - ლომგულ მურუსიძე; კოსტუმების მხატვარი - ქეთი ციციშვილი; მუსიკალური გაფორმება -ზურაბ ინგოროყვა; ქორეოგრაფი - მარიკა ქვეითაია; რეჟისორის ასისტენტი - ირაკლი ვადაჭკორია; სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე; თეატრის დირექტორი ზაზა ჯინჭარაძე; მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: მეფე - ირაკლი ვადაჭკორია; პრინცესა ანა - ანა ვადაჭკორია; ფრეილინა სიგიზმუნდა - თეა კეჭაყმაძე; მწყემსი ფილიმონი - გიორგი დოლიძე; ძროხა აისა - თამარ მდინარაძე; მცველი ვახტანგ ჩხარტიშვილი; მზარეული გენადი ნიკოლაიშვილი; მრჩეველი ზვიად ჯორბენაძე; პრინცი ირაკლი საღინაძე.

სცენური დეკორაციები და მხატვრობა - ლამაზი სამყაროსკენ მიმავალი გზის დასაწყისია ბავშვებთვის. აქ გულუბრყვილობაც არის და სიბრიყვეც, სიხარბეცა და მლიქვნელობაც, მაგრამ ისე, მსუბუქად, იმ ფერებში, ბავშვების თვალით რომ აღიქმება და მთავარი მაინც ისაა, სიმართლისკენ ვის მოჰყავს ადამიანები. აქ ბრძანებით არ ხდება მხიარულება, არც სიყვარულია შეკვეთით და გამოწერით და ის ნათელ გარემოში იღვიძებს მხოლოდ. ესაა სპექტაკლის დასაწყისიც და დასასრულიც. ერთობლიობაში ბავშვებთან ერთად უფროსებმაც კარგად იხალისეს.

განცხადება

ძვირფასო ოზურგეთელებო!

გამკაცრდა სანქციები გარემოს დანაგვიანებისთვის, კერძოდ:

— 2 კილოგრამამდე მუნიციპალური ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება გამოიწვევს დაჯარიმებას 80 ლარის ოდენობით;

— იგივე ქმედება ჩადენილი საცხოვრებელი სახლებიდან ან შენობა-ნაგებობებიდან ჯარიმდება 100 ლარით;

— 2 კილოგრამამდე ნარჩენის გადაყრა ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში დამრღვევის დაჯარიმებას 120 ლარის ოდენობით.

— 150 ლარით დაჯარიმდება ის ადამიანი, რომლის ცხოველმა ქალაქის ტერიტორია ფეკალური მასით დააბინძურა;

— კანონი ითვალისწინებს შინაური ცხოველის მეპატრონის 50 ლარით დაჯარიმებას, თუკი ის ტერიტორიას ფეკალური მასისგან არ გაასუფთავებს.

ჩვენი სურვილია, ნუ აღმოვჩნდებით გარემოს დამაბინძურებელ კანონდამღღვევთა სიაში, ოზურგეთი სისუფთავის თვალსაზრისითაც იყოს გამორჩეული ქალაქი, როგორც ეს ჩვენი თანამოქალაქეების მაღალ კულტურასა და ზნეობას ეკადრება.

ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის სერვისცენტრი“

ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზო აკაციის მესრით შემოიღობება

ალიონი. სოფელ დვაბზუში არსებული შ. რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზო აკაციის მესრით შემოიღობება.

ეს გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 ივლისის სხდომაზე მას შემდეგ მიიღეს, რაც სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა როზეტა სკამკოჩაიშვილმა განაცხადა, რომ ღობის არარსებობის გამო, მუზეუმის ეზოში ახალგაშენებული ნარგაობა პირუტყისაგან ნადგურდება:

„მუზეუმის ეზოს შემოღობვა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეზოში არსებულ ნარგაობას პირუტყვი მთლიანად გაანადგურებს. გარდა ამისა, ისედაც არ არის ლამაზი მუზეუმის ეზოში პირუტყვი ძოვდეს“, — თქვა დეპუტატმა.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს როზეტა სკამკოჩაიშვილის წინანადებას, რომ მუზეუმის ეზო შემოიღობოს აკაციის მესრით და სურვილი გამოთქვეს პრაქტიკულად მიიღონ მონაწილეობა ამ სამუშაოებში.

ნ. დუმბაძის „ბოშები“ „პეპილოტაში“

ალიონი. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ არსებულ საბავშვო თეატრ „პეპილოტაში“ პრემიერა პრემიერას მოსდევს. ივნისის ბოლო დღეს „პეპილოტამ“ მაყურებელი ნოდარ დუმბაძის „ბოშების“ სანახავად მიიპატიჟა. პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა. ნორჩმა მსახიობებმა, თავიანთი მაღალი ხელოვნებით, კიდევ ერთხელ აჩვენეს, რომ მათ ბადალი არ ჰყავთ საქართველოში.

პრემიერის შემდეგ საზოგადოებასთან ბოშების ინტეგრაციის თემაზე გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ბავშვებმა და პედაგოგებმა, ისე მაყურებლებმა. გამოიკვეთა აზრი, რომ ამ მტკივნეული პრობლემის მოსაგვარებლად საზოგადოებას უფრო დიდი როლი ეკისრება, ვიდრე ხელისუფლებას.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერაზე მიწვეული იყვნენ მხარისა და ქალაქ ოზურგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ ვერ შეძლეს სპექტაკლზე დასწრება და შესაბამისად, არც ამ დისკუსიებში მიუღიათ მონაწილეობა, არადა, რომ მიეღოთ, ნამდვილად კარგი იქნებოდა, რადგან საზოგადოებასთან ბოშების ინტეგრაციის პრობლემა, მათი ყოფითი პირობები ოზურგეთშიც მწვავედ დგას.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



ანტუან ანრი ბეკერელი (1852-1908). 1896 წელს X სხივების შემდგომი კვლევების დროს ბეკერელმა შემთხვევით აღმოაჩინა ის, რასაც ახლა რადიაციას უწოდებენ და რომელმაც დასაბამი დაუდო სამეცნიერო კვლევის დარგს.

ბეკერელმა ექსპერიმენტებს მიჰყო ხელი. მოხდა ისე, რომ მან ერთ-ერთი კაშკაშა სუბსტანციის შემადგენლობის კვლევა დაიწყო, ეს იყო ურანი.

მან აღმოაჩინა, რომ მზეზე დადებისას ურანი ნიშანს ტოვებდა ფოტოფირფიტაზე. ურანი სიბნელეში დიდხანს ყოფნის მიუხედავად, გამოსხივებას გამოსცემდა. შემდგომი კვლევების შედეგად ურანი სხვა ელემენტებისაგან გამოყვეს „რადიაქტიურობის“ ნიშნით.

მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რასაც ბეკერელმა მიაკვლია, იყო რადიაქტიური მასალების გამოყენების შესაძლებლობა მედიცინაში. მას შემდეგ, რაც 1901 წელს თვითონ დაიწვა ჯიბეში ჩადებული რადიუმისაგან, ამ დარგის შემდგომი განვითარება დღეისათვის უკავშირდება რადიოთერაპიის გამოყენებას სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ.

ბეკერელმა მარია კიურისა და მის მეუღლე პიერ კიურისთან (1867-1906) ერთად, 1903 წელს მიიღო ნობელის პრემია ფიზიკაში ჩატარებული სამუშაოებისათვის.



პოლ ერლიხი (1854-1915). 1882 წელს რობერტ კოხმა ტუბერკულოზის ბაცილა აღმოაჩინა. 1885 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ორგანიზმის მოთხოვნილება ჟანგბადზე“. 1892 წელს ერლიხმა აღმოაჩინა, რომ დედის რძე შეიცავს ანტისხეულებს. 1909 წელს აღმოაჩინა დარიშხანზე დამზადებული ნაერთი, რომელიც ებრძვის სიფილისს.

ერლიხმა მოახერხა და შექმნა საღებავი, რომელიც რობერტ კოხის (1843-1910) მიერ 1882 წელს აღმოჩენილ ტუბერკულოზის ბაცილაზე რჩებოდა. ეს მნიშვნელოვანი მიღწევა ფართოდ დაინერგა ტუბერკულოზის დიაგნოსტირებისათვის.

1909 წელს ერლიხმა საბოლოოდ წარმატებით დაასრულა ცდები „მაგიურ ტყვიაზე“, როგორც დაავადების სამკურნალო საშუალებაზე.

დარიშხანზე დაფუძნებული ნაერთი ხოცავდა სიფილისის გამომწვევ მიკროორგანიზმებს.

ერლიხის მიერ გამოყენებული ტექნიკა ასევე ითვლება ქიმიოთერაპიის დასაწყისად მედიცინაში.

1908 წელს ერლიხმა მიიღო ნობელის პრემია ფიზიოლოგიაში (ილია მენჩიკოვთან ერთად).

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც პენიცილინი და სხვა ანტიბიოტიკები მარტივად ხელმისაწვდომია, ადვილი არ არის დავივიწყოთ ისეთ საშინელ დაავადებათა შედეგები, როგორიცაა ყვავილი და ტუბერკულოზი, რაც ადრინდელ საზოგადოებებს ტანჯვითა და საშინელი სიკვდილით ემუქრებოდა. სნეულებები, რომლებიც ახლა აღმოფხვრილია, სულ რაღაც 50 წლის წინ ლეტალურ შედეგს იწვევდა.

ლონდონის „ტაიმსმა“ სწორად აღნიშნა, რომ ერლიხმა ახალი კარი გააღო შეუცნობელში და აღიარა, რომ „მთელი მსოფლიო მის ვალშია“.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ

ჩემს 90 წლის იუბილეზე პირველი და ყველაზე ძვირფასი სტუმარი წყალწმინდელი ექიმი ქეთევან ურუშაძე იქნება

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ჯანმრთელობას არ ვუჩივოდი, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის წინათ მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, ერთი კვირის შემდეგ კი ისე შევიქენი, სიარული ვეღარ შევძელი. შეწუხებულმა შვილიშვილებმა გაიკითხ-გამოიკითხეს და დაბა ურეკის საექიმო ამბულატორიაში, ექიმ ქეთევან ურუშაძესთან მიმიყვანეს, რომელმაც რამდენიმე დღეში ფეხზე დამაყენა. ასეთი სასწაულის მოხდენა მხოლოდ უფალს და, ალბათ, თითო-ოროლა ექიმს შეუძლია.

ახლა თავს ისე ვგრძნობ, ვატყობ, ოთხმოცდაათ წელს ფეხზე დამდგარი, მხნედ მივუკაკუნებ, რაც ქეთევან ექიმის დამსახურებაა. იუბილეზე ჩემი პირველი და ყველაზე ძვირფასი სტუმარი სწორედ ის იქნება.

მანამდე კი ყველაზე დიდი მადლობა ექიმ ქეთევან ურუშაძეს ჩემგან, ერთ-ერთი ყველაზე მხცოვანი პაციენტისაგან!!!

მიხეილ ძიმისტარიშვილი,
87 წლის ფერმერი

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — სოფიკო ჭიაურელი; ციტრუსი — პომპელმუსი; პოეტური განმეორება — ალიტერაცია; კავშირგაბმულობის საშუალება — რაცია; ჯუჯა ადამიანი — ლილიპუტი; ძვირფასი თვალი — ლალი; კლიმატი — ჰავა; შეძახილი ცეკვაში — ასა; ელემენტთა ურთიერთქმედება — რეაქცია; ზედმეტად პრინციპული — ჯიუტი; ახალგაზრდა იურისტები — საია; კანონიკური ტექსტების განმარტება — ეგზეგეზა; ბელორუსი მწერალი XX ს — ჩორნი; გარეული ცხოველი — ტურა; ფრინველი — გვრიტი; ფულისა და ფასიანი ქაღალდის გამოშვება — ემისია; ალანი -ოსი; ქალაქი ესტონეთში — ტარტუ; თვე — მაისი; წყალმანკი — ცოფი; სავარცხელიანი ფრინველი — ოფოფი; ბოსტნეული მცენარე — ნიორი; ფუტკრის ოჯახი — სკა; მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში — ტალი; ცეცხლის ენა — ალი; უბრად მყოფი — უბირი; კვერცხის რუსული კერძი — დრაჩენა; სიმებიანი საკრავი — ფანდური; სწორი ხაზი — წრფე; ტაძარი-პირამიდა მექსიკაში — კასტილიო; ზეთოვანი მცენარე — ალისარჩული; ესპანელი ფეხბურთელი — ალფონსო.

ყაყაჩოები მოსულა, ლამაზი საყვარელია...

ალიონი „ლიხაურის საბავშვო ბაღში დღეს ზეიმია, ჩვენი გოგო –ბიჭები ემშვიდობებიან საბავშვო ბაღს და ცხოვრების ფართო გზაზე – სკოლისაკენ მიმავალ გზაზე მიდიან“....ამ სიტყვებით დაიწყო თავისი მისასალმებელი სიტყვა გამოსაშვები ჯგუფის აღმზრდელმა თინიკო გაფრინდაშვილმა.- იქვე დასძინა - თვალწინ მიდგას ჩვენი შეხვედრის და გაცნობის პირველი დღე, 22 სიცოცხლე, 22 გაბრწყინებული თვალები გაფაციცებული ახლის მოლოდინში, რომელთაგან ნაწილი იცინოდა ,ნაწილიც ტიროდა , ნაწილი კი საერთოდ ჯგუფიდან გარბოდა...გავიდა წლები და დადგა ჟამი მათი გადაფრენის...

საბავშო ბაღის სცენა გამოსაშვები ზეიმის შესატყვისად იყო გაფორმებული, ერთად იდგნენ ბუდიდან ასაფრენად გამზადებული თვალხატული გოგო–ბიჭები და სიტყვაკაზმული ქართული სიტყვიერების სტრიქონებს უნაცვლებდნენ სიმღერებს, ცეკვებს, მათი წკრიალა ხმები – ყაყაჩოები მოსულა, ლამაზი საყვარელია... იმდენად გულწრფელი და ხალასი შესრულების გახლდათ, ბევრი იქ მყოფნი დამსწრე თავის გარდასულ ბავშვობაში დააბრუნა და კიდევ ერთხელ გაახსენა.

პატარებმა მადლი მიაგეს აცრემლებულ და ემოციებით დატვირთულ აღმრდელებს მაია ბოლქვაძეს, ხათუნა ჭელიძეს ,რომლებიც თინიკო მასწავლებელთან ერთად მათ სააღმზრდელო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები.

რით ვართ წარმატებულები– ჩვენი წარმატება 22 სიცოცხლით და სიყვარულით გაბრწყინებული გოგო ბიჭი გახლდათ, რომლებიც თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენას ცდილობდნენ და მეტად სასიამოვნოდ დაგვამახსოვრეს თავი .

ლონისძიების დასასრულს ბავშვებს მიესალმა საბავშვო ბაღის მენეჯერი ნათია გობრონიძე, და სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი ავთო მექვაბიშვილი, თითოეულმა მათგანმა გზა დაულოცეს პატარებს და უსურვეს შრომით და ძიებით ევლოდ მწერვალებისაკენ.

სამადლობელი

ჩვენს ოჯახს მიეცა ამოსუნთქვის და ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლის საშუალება

მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი სახლი დაგვენგრა და ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა, განსაკუთრებით თავი იჩინა სოციალურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა. დედა ცდილობდა, როგორმე გამოესწორებინა ოჯახის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. იყო უამრავი დაპირება, დრო გადიოდა და ოჯახური პირობები უფრო მეტად უარესდებოდა. თუ სხვა დროს თავისი გატანას ვახერხებდით იმ მწირი შემოსავლით, რასაც ციტრუსის და თხილის მოსავალი იძლეოდა, ეკონომიკურმა კრიზისმა და ბუნების სიავემ ისიც წაგვართვა. პრობლემები წლებთან ერთად უფრო მრავლისმომცველ სახეს იღებდა. თუმცა, დედას არც ერთი წუთით არ დაუკარგავს იმედი. ის სულ მაიმედებდა, რომ ყველაფერი უკეთესობისაკენ შეიცვლებოდა. ყოველთვის მიკვირდა მისი ოპტიმიზმი.

იმედი თითქმის დაკარგული მქონდა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც ქვეყნის სათავეში მოვიდა დღევანდელი ხელისუფლება, გამიჩნდა სამართლიანობის აღდგენის იმედი, რომ ორმოც წელს გადაშორებული კადრები, რომელიც წინა ხელისუფლებამ გამოუყენებელ ნივთად აქცია, თავის ადგილს იპოვიდა. დედამ წარმატებით გაიარა ტესტირება და გასაუბრება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოში გამოცხადებელ საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურში. საკონკურსო საატესტაციო კომისიის კომპეტენტურმა წევრებმა (თავჯდომარე მერაბ ჭანუყვაძე) დედაჩემის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს, ის საჯარო სამსახურში დაასაქმეს. ხელისუფლების დაპირება – სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ხელს შეუწყობდა ამ ოჯახების წევრთა დასაქმებას, რეალობად იქცა. ჩვენს ოჯახსაც მიეცა ამოსუნთქვის და ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლის საშუალება.

ჩემი გულწრფელი მადლობა, ბატონო მერაბ, თქვენ! ახლა ყოველი დღის გათენება მიხარია, რადგან დედაჩემის თვალებში ცრემლსა და შიშს აღარ ვხედავ.

ნინო დანდურაშვილი,
სოფელი თხინვალი

„დაცული არჩევანი - ეფექტური თვითმმართველობის გარანტი“

ალიონი. პროექტის „დაცული არჩევანი - ეფექტური თვითმმართველობის გარანტი“ - ფარგლებში, დღეს დემოკარტული ჩართულობის ცენტრში საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის პირდაპირი გზით არჩეული პირებისა და შესაბამისი თვითმმართველობის ფარგლებში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით ფოკუს ჯგუფების, გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია შედგა, რომელსაც ოზურგეთის და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროექტი მიზანად ისახავს საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების შედეგად არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხისა და ეფექტური გარანტიების შექმნის ხელშეწყობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ძირითადი სადისკუსიო თემები იყო: სისხლის სამართლებრივი პროცედურების განხორციელება; არჩეული თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები; მერის/გამგებლებისათვის უნდობლობის გამოცხადება; საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება. პრეზენტატორებმა იმ კონკრეტულ თემებზეც გაამახვილეს ყურადღება, რომელიც გამოკითხვის დროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მაშინ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. კერძოდ, ხაზინასთან ურთიერეთობის საკითხები და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საშუალებების , ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობის საკითხი.

–ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ამ კუთხით სიახლეები აქვს, რადგან ჩვენ კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით პრობლემათა დასაძლევად. მომავლი წლიდან პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადავდივართ, რაც კიდევ უფრო დაარეგულირებს ურთიერთობას ხაზინასთან, ხოლო სექტემბრიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების ონლაინ რეჟიმში ტრანსლირებას იწყებს, რაც ვფიქრობ რომ მოსახლეობასთან კომუნიკაციის მართლაც ეფექტური საშუალება იქნება - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერღლეიძემ.

ფოთის ღია პირველობაზე ტაეკვანდოში

ალიონი. 29 ივლისს, ქ. ფოთში ჩატარდა ღია პირველობა ტაეკვანდოში, რომელშიც ფოთის ტაეკვანდოს 3 სკოლის, ასევე ურეკის და ოზურგეთის ტაეკვანდოს სკოლების, ქ. ქობულეთის კიოკუშიკაი კარატეს სკოლის 100 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის ტაეკვანდოს სკოლის (მთ. მწვრთნელი ირაკლი ტულუში) შეჯიბრზე მე-2 ადგილი მოიპოვა და პირადში 4 პირველი, ერთი მე-2 და ორი მე-3 ადგილი მოიპოვა.

ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ლუბა დანელია, მარი ინწკირველი, აკაკი რომანაძე, თემურ ღლონტი. თემურმა ფინალში ტურნირის საუკეთესო ბრძოლა აჩვენა დასაქართველოს 6-გზის და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი კიოკუშინკაი კარატეში ქობულეთელი ნუკრი ბერიძე დაამარცხა.

სპორტი

ბახველების წარმატება

ქ. ბათუმში, ბახვის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა (2003-2004 წწ.) ჯანი ცივაძის სახელობის ტურნირზე მე-3 ადგილი დაიკავეს (მწვრთნელები თორნიკე წულაძე, თემურ ღლონტი).

ამის შემდეგ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, ჩატარდა ომარ ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში. ამ ტურნირში აჭარა-გურიის 8 გუნდი მონაწილეობდა.

ნახევარფინალში ხელვაჩაურელებმა სძლიეს „ადელს“ 3:1, ხოლო „ბახვმა“ – ქ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დასახლების გუნდს 3: 1.

დაძაბულ ფინალურ ორთაბრძოლაში ბახველებმა მასპინძლებს სძლიეს 2:1 და თასს დაეუფლნენ (მწვრთნელი გოჩა კრასოტკინი).

გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ მიიღო და მას ქ. ქობულეთში შეკრებაზე წასასვლელად თანადგომა აღუთქვა.

რომან აბესაძე ჩემპიონია, ოთარ აბესაძე კი – მესამეადგილოსანი

26-29 ივნისს ქალაქ ჭიათურაში ჩატარდა თ. ჯაოშვილის და ს. ასანიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი კრივში 2000-2003 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის მოკრივეთა ნაკრები გუნდი (მწვრთნელი იუნონ საჯაია) 34 კგ წონით კატეგორიაში თავი ისახელა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა რომან აბესაძემ, ამავე წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ოთარ აბესაძემ.

იყიდება

ბრიბოედოვის ქუჩაზე სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა პირველ სართულზე. ფასი 14500 დოლარი. ტელ.599 58 75 32

ცოტა რამ ნადირობის შესახებ

დასასრული დასაწყისი „ალიონი“ № 26

ჯონ ჰანტერი დაიბადა 1887 წელს შოტლანდიის სამხრეთში შირინგტონში. მამამისს ქვეყნის ამ ნაწილში ერთ-ერთი საუკეთესო ფერმა ჰქონდა 300 აკრი სახნავითა და სამი კვადრატული მილი საძოვრით. გვარი უნტერ(მონადირე) წარმოდგება მათი უძველესი წინაპრის პროფესიიდან და გვარის ყველა წევრს თანდაყოლილი ჰქონდა ნადირობის სიყვარული. ჯონის მამაც გამუდმებით ნადირობდა, მხოლოდ დედა იყო ოჯახის ერთადერთი წევრი, ვინც არ მონაწილეობდა სპორტულ ნადირობებში. თუმცა თუ ნადირობა ოჯახის სხვა წევრებისათვის მხოლოდ დასვენება გახლდათ, ჯონისათვის ეს ჰაერი იყო, რის გარეშეც არსებობა არ შეეძლო.

ბავშვობაში ჯონი მამას დაყვებოდა სანადიროდ და ნასროლ ვაზნებს აგროვებდა(ძალიან უყვარდა დენთის სული). უმეტესად ლოხარ-მოსის ჭაობში ატარებდა მთელ დღეებს, სადაც ბლომად იყო იხვი და სხვა სანადირო ობიექტები. აქ მომავალი მონადირე აკვირდებოდა ფრინველთა ქცევებსა და მანერებს, სწავლობდა ჭაობის ბილიკებსა და ორიენტირების საფუძვლებს. შემდგომ ზრდასრული ჰანტერი იხსენებდა, რომ თვალსაჩინოს შეეძლო ჭაობში არსებულ ბილიკებზე სიარული...

8 წლის ჯონმა მამისაგან მალულად აიღო თოფი და წავიდა სანადიროდ. ეს თოფი გახლდათ ძველი „პერდე“, რომელიც მამამისმა თავისი მეგობრისაგან შეიძინა. ჰანტერის აზრით გლუვლულიანი პერდე საუკეთესოა ადამიანის მიერ შექმნილ თოფთა შორის. „პერდეს“ დახასიათებისას ჰანტერი აღნიშნავს „მას უზუსტესი მოხვედრა აქვს; მხოლოდ ღმერთმა უწყის, რამდენი ვაზნაა ამ თოფიდან გასროლილი და მიუხედავად ამისა საკეტი ისევე მუშაობს როგორც სრულიად ახალი; აქვს ისეთი ბალანსი, რომ სროლა ერთი სიამოვნებაა".

როცა ჯონი პირველად გავიდა სანადიროდ, მან კინაღამ ფეხი გაიხვრიტა–ფრინველთან მიპარვისას უნებლიედ დაუშვა სასხლეტი. მიუხედავად ამისა, ამ ამბის გაგების შემდეგ, ჰანტერის მამას არ დაუშლია შვილისათვის ნადირობა. მალე ახალგაზრდა მონადირემ შეისწავლა იარაღთან მოქცევა, ყოველ საღამოს შლიდა მამის პერდეს და წმენდდა-ზეთავდა.

გარდა აქტიური ნადირობისა ჰანტერი თევზაობასაც არ ივიწყებდა (ბამბუკის ანკესით თევზაობდა). სიბნელის დადგომისას ჯონი მდინარეს აკითხავდა, ერთ ხელში ჩირაღდანი ეჭირა, ხოლო მეორეში კი ჩანგალი. ამ ხერხით ორაგულზე ნადირობდა.

ჰანტერის მშობლებს უნდოდათ, რომ მათი შვილი ფერმერი გამხდარიყო, მაგრამ ჯონს ეს სფერო ნაკლებად აინტერესებდა. 18 წლის ასაკში მას შეუყვარდა მასზე გაცილებით უფროსი ასაკის ქალი. ოჯახმა გადაწყვიტა აერიდებინათ შვილი ამ საქმისათვის და გაემგზავრებინათ კენიაში ქალაქ ნაირობისთან ახლოს, სადაც მათი ნათესავები ცხოვრობდნენ.

ჯონი მზად იყო იმავე წუთს გამგზავრებულიყო, რადგან კენიაში სპილოები და მარტორქები ბინადრობდნენ...

რამდენიმე დღეში ჰანტერი გაემგზავრა. გამგზავრებისას მამამ მისი „პერდე“ გადასცა ჯონს და უთხრა: „ეს ვიზიტი ან კაცად გაქცევს ან გაგტეხს..."

გარდა „პერდესი“ ჯონი აფრიკაში გაემგზავრა 6,9 მილიმეტრიანი „მაუზერით“, რომელიც ბისმარკის ჩამონატანი იყო ერთ-ერთი ომიდან.

აფრიკაში ჩასვლის შემდეგ ჯონი მოეწყო სამუშაოდ მომბასი-ნაირობის რკინიგზაზე. აქ ჯონი პირდაპირ მატარებლიდან ნადირობდა, რადგან არც თუ იშვიათად გზად ლომი ან ლეოპარდი ხვდებოდათ...

ჯონმა სპილოზე გასროლა პირველად თავისი 6,9 მილიმეტრიანი მაუზერით აწარმოა და მაშინ არ უწყოდა, რომ ამ ყალიბით მხოლოდ შემთხვევით იყო შესაძლებელი ამ გიგანტის დაგდება. სპილო მაშინვე არ მოკედა და ჰანტერი სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს. მატარებლით უკან დაბრუნებისას მან შეამჩნია მკვდარი სპილო (მისი გასროლის შედეგი), აიკალა მას ეშვები და ეს გახლდათ პირველი აფრიკული დიდი ტროფეი! მათი გაყიდვით ჯონმა 37 ფუნტი აიღო, რაც უფრო მეტი იყო ვიდრე რკინიგზაზე 2 თვის ჯამაგირი.

აფრიკაში ჰანტერმა გაიცნო პროფესიონალი მონადირეები: ალან ბლეკი, ბილი ჯადი, ფრიც შინდელარი (ჯადი და შინდელარი შემდგომ ნადირობისას დაიღუპნენ), კამანჯო ბელი და ლესლი სიმსონი (ეს უკანასკნელი ითვლებოდა ლომებზე საუკეთესო მონადირედ. წლის განმავლობაში მან 365 ლომი მოკლა!!!). ისინი აფრიკის დამწყები მონადირისათვის ნამდვილი გმირები და მისაბაძები იყვნენ.

პროფესიონალი მონადირის კარიერა ჯონ ჰანტერმა ლომებზე ნადირობით დაიწყო. მაშინ ადგილზე ლომის ტყავი ერთი ფუნტი ღირდა. ლეოპარდის ტყავიც დაახლოებით ამდენივეს ფასობდა. ლომები მუსრს ავლებდნენ შინაურ ცხოველებსა და არც თუ იშვიათად ადამიანსაც ესხმოდნენ თავს. რკინიგზის დაგებისას ლომებმა იმდენი მუშა მოკლეს, რომ საჭირო გახდა დროებით ამ სამუშაოების შეჩერება, რათა გაენადგურებინათ ადამიანზე მონადირე ცხოველები. ჯონ ჰანტერს ერთ ჯერზე 4 ლომიც კი მოუნადირებია. პროფესიონალი მონადირე აღწერს რამდენიმე შემთხვევას, როცა თავზე ნასტომით გადამსტარი მტაცებელი ისევე განუგმირავს, როგორც ადრე შოტლანდიაში, გამფრინვალე იხვი.

ჰანტერი მალე პროფესიონალ მონადირედ ჩამოყალიბდა. მან აფრიკაში გაიცნო ჰილდა ბენბური და დაოჯახდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა ნადირობის პროფესია შეეცვალა და დისტრიბუციით დაკავებულიყო, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. როცა ჯონმა მეუღლეს განუცხადა, რომ მისი საგაჭრო ბიზნესი გაბანკროტდა, მან წყნარად მოუგო: „სხვას არც არაფერს ველოდი, შენ პროფესიონალი მონადირე ხარ და ამ საქმით უნდა დაკავდე!" (მათ 6 შვილი ეყოლათ).

აფრიკაში ცხოვრების 40 წლის განმავლობაში ჰანტერს სანადიროდ დაჰყავდა: პრინცი და პრინცესა შვარენბერსკი, ბარონი და ბარონესა როტშილდი, ევროპელი დიდებულები, ინდოეთის რაჯები და მახარაჯები, ბევრი ამერიკელი მილიონერი. გარდა ამისა ხშირად ანადირებდა სპორტსმენ-მონადირეებს, რომლებსაც წლების განმავლობაში ჰქონდათ ფული ნაგროვები აფრიკული ნადირობისათვის.

ჯონი მუშაობდა სპეციალურ სანადირო ფირმებთან, რომელშიც ჰანტერის გარდა კიდევ რამდენიმე პროფესიონალი მონადირე მოღვაწეობდა.

რაც შეეხება ჰანტერის შემოსავლებს: ჯონი თავისი შრომითა და სპილოს ძვლის გაყიდვით გამოიმუშავებდა იმაზე მეტს, რასაც მთელი ამ აფრიკული კოლონიის გუბერნატორი(!!!)

საინტერესოა ერთი შემთხვევა: ჰანტერმა ერთ-ერთი ნადირობისას (გამცილებლის სტატუსში გახლდათ ამერიკელ სპორტსმენთა წყვილთან) მიიღო შეტყობინება: „ვთხოვთ სასწრაფოდ დაბრუნდეთ– ჩამოდის უელსის პრინცი და მას უნდა გაყვეთ". ჯონმა უარი განაცხადა უელსის პრინცის თანხლებაზე იმის გამო, რომ კლიენტებს(ამ შემთხვევაში უბრალო სპორტსმენ-მონადირეებს) ემასხურებოდა(!!!).

ჰანტერი ყველაზე საუკეთესო ყალიბებად აფრიკული ნადირობებისათვის მიიჩნევს .577 ან .600 ყალიბს. ყველაზე ხშირად ჯონ ჰანტერი ნადირობდა 500 ყალიბის ჰოლანდ-ჰოლანდის შტუცერით, რომლის ლულის სიგრძე 24 დიუმს შეადგენდა და აღჭურვილი იყო ეექტორით.

ჰანტერი გლუვლულიანებში საუკეთესოდ მიიჩნევდა პერდეს, ხოლო შტუცერებში კი ჰოლანდ-ჰოლანდს.

შეკითხვაზე: რომელია აფრიკის ყველაზე საშიში ცხოველი? ჰანტერი პასუხობს: ეს არავინ უწყის, რადგან ყველაფერი კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული...

რამდენი ხანიც არ იცხოვროს ჭეშმარიტმა შოტლანდიელმა საზღვარგარეთ, მისთვის საშობლო მხოლოდ ერთია–შოტლანდია. 63 წლის ასაკში ჯონ ჰანტერი საშობლოში ბრუნდება. ამ დროს მისი შვილები უკვე ზრდასრულები იყვნენ და ყველა საკუთარ გზაზე იდგა.

შოტლანდიური ფერმა უკვე ჰანტერების საკუთრება აღარ იყო... ჯონმა მისი ყოფილი ფერმის მეზობლად იყიდა სახლი და იქ დაიდო ბინა.

აფრიკაში ჯონ ჰანტერმა იპოვა ის, რაზეც ოცნებობდა. მას ლომებზე ნადირობა მოუწია იქ, სადაც ახლა ქალაქებია გაშენებული. ჯონი საშობლოში დაბრუნების შემდეგ აღნიშნავდა: „უკან მოხედვისას დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ უმეტეს შემთხვევაში ნადირს და მე ერთნაირი შანსები გაგვაჩნდა". წლების განმავლობაში ჰანტერი სიცოცხლის რისკის ფასად კლავდა იმ დროისათვის მავნე და ჭარბ ცხოველებს: სპილოებს, კაციჭამია ლომებს და ა.შ,

ეს დიდი მონადირე წლების განმავლობაში გამცილებელი გახლდათ სახიფათო ნადირობებში, რომლებსაც სხვადასხვა ფირმები უკეთებდნენ ორგანიზებას.

თავისი კარიერის განმავლობაში ჯონ ჰანტერს 1400 სპილოზე მეტი ყავს მოპოვებული!!!

ერნესტ ჰემინგუეი

1899-1961 წ.წ.

ცნობილი ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი თავგადაკლული მონადირე იყო.

ნადირობისადმი ლტოლვა მამამისის, კლარენსის დამსახურება გახლდათ, რომელიც კარგი ექიმი გახლდათ და

ჩიკაგოს გარეუბნებში იკლავდა ნადირობის ჟინს (სახლში ბლომად სანადირო თოფი ჰქონდა).

როცა ერნესტი წამოიზარდა, მამამ სანადიროდ ტარება დაუწყო და ფაქტიურად დააავადა თავისი გატაცებით– ნადირობით. მომავალი მწერლის დედას უნდოდა შვილი მუსიკოსი გამხდარიყო, მაგრამ ერნესტს ფაქტიურად სძულდა ვიოლონჩელო, სამაგიეროდ ნადირობის სიყვარული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თან გაჰყვა...

როცა ყმაწვილი ჰემინგუეი 12 წლის გახდა ბაბუამ აჩუქა მისი პირველი ცალლულიანი 20 ყალიბის თოფი. ერნესტი ძალიან ამაყობდა თავისი თოფით და ოცნებობდა ჯუნგლებში ნადირობაზე; მას ეჯერა, რომ ნატვრა აუხდებოდა

1933 წლის 22 ნოემბერს მწერალი მეუღლესთან ერთად მარსელიდან გემით გაემგზავრა პორტ მომბასისაკენ. აქედან მატარებლით წავიდა ნაირობიში, სადაც მათ ელოდათ მონადირე-გამცილებელი ფილიპ პერსივალი.

აქედან ორი სატვირთო და ერთი მსუბუქი მანქანით სამხრეთისაკენ ტანგანიკისაკენ გაეშურენ. საღამოს მათ შეძლეს თავიანთ პრაქტიკაში პირველი ლომის მონადირება– პირველი გასროლა ჰემინგუეის მეუღლემ, პოლინმა შეასრულა, მათი აზრით ნადირი დაიჭრა და გაიქცა, მაშინ ერნესტმა გაისროლა თავისი „სპრინგფილდიდან“ და ლომი დაეცა. მწერალი შემდეგ იხსენებდა: „მეგონა დაჭრილი ლომი შეტევაზე უნდა გადმოსულიყო და მზად ვიყავით სულ სხვა განცდებისათვის, მან კი გაქცევა დაიწყო– სულ სხვას ველოდით".

ნადირის დათვალიერებისას აღმოაჩინეს, რომ მას მხოლოდ ერთი ჭრილობა ჰქონდა. ეი. პოლინმა დაიცილა.

აფრიკასთან შეხვედრის სიხარული ავადმყოფობამ შეცვალა. გეზზე მწერალი ამების დიზინტერიით დაავადდა და რამდენიმე თვეში ისე შეაწუხა, რომ იძულებული გახდა ნაირობიში დაბრუნებულიყო და საავადმყოფოში ემკურნალა.

1934 წლის იანვრის ბოლოს ავადმყოფი გამოჯანმრთელდა და თავისი კომპანიონებისაკენ გაეშურა(ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში ნადირობის ეპოპეას აგრძელებდნენ).

სანამ თავის სანადირო შემადგენლობას შეუერთდებოდა, გზად ანტილოპებსა და კამჩებზე ნადირობდა.

ზებრებზე ნადირობა, ვინ ტყავიც თავისი მეგობრებისათვის საჩუქრად უნდოდათ, ცოტა მოსაწყენად ეჩვენებოდა. სანადირო ექსპედიციასთან შეერთების შემდეგ, მათ ისევ ერთად გაგრძელეს გზა, რომელიც ჭაობზე გადიოდა. აქ მათ შეხვდათ უამრავი იხვი, სადაც მწერალმა კარგად მოიოხა გული ფრინველზე ნადირობით.

მწერალი ოცნებობდა ანტილოპა კუდუს მოკვლას, რომელიც ძალიან ფრთხილი ცხოველია. ათდღიანი ლოდინის შემდეგ ერნესტმა ნახევარი საათის შუალედში 2 ბრწყინვალე ეგზემპლიარი აიღო...

წვიმების სეზონი ახლოვდებოდა, ტრანსპორტით გადაადგილება მალე შეუძლებელი გახდებოდა და მონადირეებს აფრიკის ეს ნაწილი უნდა დაეტოვებინათ...

1934 წელი (თებერვალი). ფილიპ პერსივალი და ჰემინგუეი აღმოსავლეთ აფრიკაში.

გავიდა ორი ათეული წელი. მწერალი კიდევ ორჯერ დაქორწინდა, მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში, გახდა ძალიან ცნობილი... გადაწყვიტა დაესვენა და ამისათვის საუკეთესო ადგილი აფრიკა აირჩია. ერნესტს ენატრებოდა იქაური ჰაერის ჩასუნთქვა. ამჯერად მეოთხე მეუღლის თანხლებით გაეშურა შავ კონტინენტზე და იქ კვლავ გამცილებლად ფილიპ პერსივალი დახვდა.

მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი გახლდათ. მისი კალმით აღწერილი ნაწარმოებები აფრიკული საფარის განცდებითა და ემოციებით იყო ყოველთვის დატვირთული. როცა მწერალი პირველად მოხვდა შავ კონტინენტზე, ის წერდა: „მე ისევ მოვალ აფრიკაში... იმიტომ რომ მე მომწონს აქ ცხოვრება– ნამდვილი ცხოვრება და არა მხოლოდ არსებობა"

ჰემინგუეიმ 1961 წლის 2 ივლისს „ბერნარდელის“ ფირმის ორლულიანი თოფით მოისწრაფა სიცოცხლე.

მოამზადა

გელა ჩავლეიშვილმა

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +16+23	მზე, ღრუბელი +19+27	მზე, ღრუბელი +16+25	მზე, ღრუბელი +18+25	მზე, ღრუბელი +19+26	მზე, ღრუბელი +19+25	მზე +23+31
13 ივლისი	14 ივლისი	15 ივლისი	16 ივლისი	17 ივლისი	18 ივლისი	19 ივლისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა